ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ

განკარგულება:გ-49. 4923209001

თარიღი:28/07/2023

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 98

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 28 ივლისის №98 განკარგულების
დანართი №1

**ანგარიში**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ტერიტორიების განაშენიანების, ქალაქის კეთილმოწყობის, წყლის სისტემების და სანიაღვრე არხების მოწყობა/ რეაბილიტაციის, შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდის, გარე განათების ქსელის მოწყობის, სპორტული ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაციის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული კერძო საკუთრებისა და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობების აღდგენის, დაზიანებული სახურავების, ქალაქ წყალტუბოში საზოგადოებრივი სივრცეებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის ღონისძიებებში.

სამსახურის მიერ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამსახურის თითოეული მუშაკის მიერ დაწესებული მონიტორინგისა და ამ მიმართებით სამშენებლო კომპანიებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერების შედეგად, როგორც რეგიონული განვითარების ფონდიდან, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურული პროექტების 95% შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებში შესრულდა. სამშენებლო კომპანიებისათვის ერთ -ერთი სავალდებულო პირობა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხთან და მოცულობებთან დაკავშირებით აკრედიტირებული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენაა. სამუშაოების მიღება- ჩაბარება ხდებოდა კომისიურად- შესაბამისი ჯგუფის მიერ.

**რგფ-ის მიერ 2023** წლის დასაწყისში გამოიყო დაფინანსება და დაიწყო 12 მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ჯამური ღირებულებით 5 512 013 ლარი. რგ(პ) ფონდის პროექტების თანადაფინანსებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო- 454255 ლარი.

**საანგარიშო პერიოდში დაიწყო და დასრულდა** სოფელ ოფურჩხეთში რიდვას უბანში, სოფელ ბანოჯაში, მე-15 და მე-18 ქუჩებზე, სოფელ ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის (შეერთება), სოფელ გეგუთში ბოდოკიების, ღალღას და ზივზივაძეების უბნებში, სოფელ გვიშტიბში

მე-8 ჩიხში, სოფელ ცხუნკურში გაღმა ჩუნეშში მეშვიდე ქუჩის, სოფელ ტყაჩირში ჯანელიძეების, სინაურიძეების უბნებში და სკოლასთან მისასვლელი გზების, სოფელ ყუმისთავში მესამე და მეთექვსმეტე ქუჩების, სოფელ წყალტუბოში გურეშების უბანში, სოფელ ჟონეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის, სოფელ ცხუნკურში მესამე და მეთექვსმეტე ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, ასევე, ქალაქ წყალტუბოში ავალიანისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებული სანიაღვრე სისტემებისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები.

**მაღალმთიანი რეგიონების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს** სოფ. დერჩისა და დღნორისას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სახელშეკრულებო ღირებულებით 736 000 ლარი. დასრულებეულია სამუშაოების 80%.

**ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2023 წელს 6 202657** ლარი გამოიყო მუნიციპალიტეტში გზებისა და ტროტუარების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთებისათვის, სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემების ქსელის რეაბილიტაციისათვის, გარე განათების ახალი ქსელებისა და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობისათვის, სპორტული ობიექტების აღჭურვა- რეაბილიტაციისათვის, ,,სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოებისათვის, სპეც. ტექნიკის, მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის, ვიდეოსამეთვალყურეო ტექნიკისა და საგზაო ნიშნების შეძენისათვის .

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა 36 ცალი დეკორატიული სანაგვე ურნა, ქალაქ წყალტუბოში 2 (ორი) ერთეული ენერგო ეფექტური სკამი, 45 (ორმოცდახუთი) ცალი ხის ძელსკამი (წარწერით "წყალტუბო"). დასრულდა სოფელ ქვიტირში სპორტული დარბაზის შემოღობვის და ჭიშკრის მოწყობის , ქალაქ წყალტუბოს შემოსასვლელში (გ. ტაბიძის ქუჩის დასაწყისი, უსაფრთხოების კუნძულის), 20 მეტრიანი გალვანიზირებული სადროშე ბოძის სამონტაჟო სამუშაოები , წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, სასმელი წყლის ქსელების სარეაბილიტაციოდ წყლის მილებისა და მექანიკური ქუროების შესყიდვის სამუშაოები.

გრძელდებოდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები, რაც 666224 ლარით დაფინანსდა.

**მიმდინარეობს** სოფელ ბანოჯაში, სათაფლიის მღვიმესთან მისასვლელ გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაციის, სოფელ მუხიანში და სოფელ პატრიკეთში სოციალურად

დაუცველი ორი ოჯახისათვის კერძო ტიპიური საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები, სოფელ ოფურჩხერთში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობის (საპირფარეშო) სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქალაქ წყალტუბოში N4 საბავშვო ბაღის და ინკლუზიური ცენტრის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, სოფელ მაღლაკში (ჭელიძეების უბანში) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებისა და სოფელ ცხუნკურში არსებული სასმელი წყლის კაპტაჟების და ქსელის რეაბილიტაცია- მოწყობის სამუშაოები, სოფელ თერნალში მე-19 და მე-20 ქუჩებზე, სოფელი ბანოჯაში, სოფელ გუმათში, სოფელ ტყაჩირში სინაურიძეების უბანში და სოფელ წყალტუბოში 22-ე ქუჩაზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, აგრეთვე სოფელ წყალტუბოში მე-6 და ზედა მესხეთში მე-18 ქუჩებზე გზების ცხელი ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, სოფელ ჩუნეშის გადასახვევიდან ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის საჯარო სკოლამდე გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია და ამჟამად 12 მისამართზე მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელთა ჯამური ღირებულება 2 მლნ. ლარს აღემატება.

**მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტით** სოფელ ჩუნეშში მიმდინარეობს ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეატრისა და საპირფარეშოს რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები.

სამსახურმა ოპერატიულად განახორციელა ღონისძიებები **2023 წლის 10-13 იანვარს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად.** აღიწერა და **სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1981097 ლარით დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული 47 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის და 9 სახელმწიფო დაწესებულების სახურავების** შეკეთების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში დასრულდა : ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის №15, 9 აპრილის ქუჩის №13 და დედაენის ქუჩის მე-2 შესახვევში მდებარე №2 კორპუსების, 9 აპრილის ქუჩის №1, ფალიაშვილის ქუჩის №2, კოლხეთის ქუჩის №17, ასევე გოგებაშვილის ქუჩის №2 და №2ა კორპუსების, ტაბიძის ქუჩის №7, შანიძის ქუჩის №4ა, დედა-ენის ქუჩის №7, დედა-ენის ქუჩის 1-ელ ჩიხში №2 და №4, ჭავჭავაძის ქუჩის №8ა, ბესიკის ქუჩის №11, თამარ მეფის ქუჩის №1 და №3 კორპუსების, სოფელ მაღლაკში მე-2 ქუჩაზე მდებარე №15 და სვანების დასახლებაში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) მდებარე ბინების, სოფელ ფარცხანაყანევში (კოპიტნარის დასახლება) №1, №3, №10 და №12 კორპუსების, სოფელ მუხიანი (მეფრინველეობის დასახლება) №1, №2 და №3 ბინების, აგრეთვე სოფლებში მესხეთის №9, პატრიკეთის №12, ოფშკვითის №14, ახალი საყულიის №16, რიონის №19 საბავშვო ბაღებისა და

სოფელ ოფშკვითის სოფლის კლუბის სახურავების, 9 აპრილის ქუჩის №7 და №9, თამარ მეფის ქუჩის №9, №11 და №18 კორპუსების, ასევე თამარ მეფის ქუჩის №19 კორპუსის II სადარბაზოს სახურავების ,ბესიკის ქუჩის №1, №5, №7, №9, №13 და №15, ჭავჭავაძის ქუჩის №9 და დედა-ენის №5 კორპუსების, თაყაიშვილის №5, დედა-ენის ქუჩის №20, 9 აპრილის ქუჩის 1-ელ ჩიხში მდებარე №1 კორპუსებისა და №4 საბავშვო ბაღის სახურავების, თბილისის ქუჩის №1, დედა-ენის ქუჩის №11 და სოფელ გეგუთში (ვარცისჰესის დასახლებაში) მდებარე №4 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული 232 კერძო საცხოვრებელი სახლის მფლობელს დაზაინებული სახურავების შეკეთებისთვის გადაეცა გადახურვისათვის საჭირო მასალები (გოფრირებული მოთუთუებული თუნუქი, სამშენებლო ბლოკები,ხის მასალები (კოჭი, ფიცარი) .

მუნიციპალიტეტში **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში** ინიცირებული იქნა და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების 6 ხელშეკრულება 16 მრავალბინანი კორპუსის სახურავის და სადარბაზოების **თანადაფინანსებით** შეკეთების თაობაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 197 976 ლარი. გამოცხადდა ტენდერი 5 საცხოვრებელი კორპუსის სახურავების შეკეთებაზე- 115833 ლარის ჯამური ღირებულებით. სულ თანადაფინანსებით საცხოვრებელი კორპუსებისა და სადარბაზოების შეკეთებითი სამუშაოების განსახორციელებლად ადგილობრივ ბიუჯეტში მ/ წელს 317500 ლარია გამოყოფილი. მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გათვალისწინებით დაფინანსება წლის ბოლომდე ამ მიმართებით სავარაუდოდ კიდევ გაიზრდება.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან მ/ წელს 704000 ლარი გამოიყო .

ამ პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (გუბისწყალი, ჭაშლეთი, ლეხინდრისთავი, საჩხეური, ზედა ონჭეიში, ქვედა ონჭეიში, მექვენა, ქვილიშორი, ჩუნეში, ოფურჩხეთი, ნამოხვანი, ჟონეთი, ჯიმასტარო, ბანოჯა, ხომული, ცხუნკური,ზედა ჩუნეში, რიონი, მეჩხერი, ზარათი, ნოღა, სორმონი, ჭოლევი, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად შესყიდული იქნა მზა ბეტონი - ჯამური ღირებულებით - 276000 ლარი;

სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ამჟამად 56 მისამართზე შეუფერხებლად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელთა დასრულება მ/წლის აგვისტოშია გათვალისწინებული.

**საანგარიშო პერიოდში შეუფერხებლად ხორციელდებოდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება.** იანვარ- ივნისში გაწეული მომსახურებისათვის შესაბამის კომპანიას ჯამურად 225849 ლარი ჩაერიცხა.

**,,განახლებული რეგიონების პროგრამის“** ფარგლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება ქ. წყალტუბოში, გ. ტაბიძისა და მის მიმდებარე ქუჩებზე საცხოვრებელი კორპუსების ფასადებისა და სახურავების, მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. გარდა ზემოთაღნიშნულისა მუნიციპალური განვითარების ფონდი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახორციელებს სამი სოფლის (სოფელი მაღლაკის, ფარცხანაყანევის და ზედა მესხეთის) საუბნო გზების რეაბილიტაციისა და ქალაქ წყალტუბოში, აფხაზეთის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოებს.

**საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების** კომპანიის დაფინანსებით მიმდინარეობს სოფლების ფარცხანაყანევისა და მუხიანის მაგისტრალურ მილსადენებზე მიერთებული აბონენტების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის, სოფელ ბანოჯის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის, სოფელ ქვიტირის რეზერვუარის, დამწნეხი კოლექტორის და სამტრედიის წყალარინების სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის პროექტირება - მშენებლობის“ და ქალაქ წყალტუბოს წყალარინების სისტემის მოწყობის მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხილული და შესწავლილი იქნა მოქალაქეთა 772 განცხადება და წერილი, რომლებიც სავადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების, ტერიტორიების კეთილმოწყობის, საზოგადეობრივი და დასასვენებელი სივრცეების, სკვერების მოწყობის, წყალანირების სისტემებისა და ღვარსადენი არხების მოწყობა/ რეაბილიტაციის საკითხებს შეეხებოდა, რომელთაგან 25 % ოპერატიულად შესრულდა. განცხადებების 30 % სამსახურის მიერ კონტროლზეა აყვანილი და შესაძლებლობის ფარგლებში ეტაპობრივად განხორციელდება, ხოლო გარკვეული ნაწილი შეტანილია შემდგომ ეტაპზე განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში.

სრული ჩამონათვალი 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ თან ერთვის.

## 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები

| № | ლოკაცია | პროექტის დასახელება | ღირებულება | დაფინანსების წყარო | განხორციელების წელი | მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| **2023 წელი** | | | | | | |
| 1 | სოფელი ოფურჩხეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთში რიდვას უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 300108,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 2 | სოფელი ბანოჯა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მე-15 და მე-18 ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 102840,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 3 | სოფლები: ხომული, ქვილიშორი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის (შეერთება) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 632419,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 4 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში ავალიანისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე ასევე თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებული სანიაღვრე სისტემებისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაცია | 1900425,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 5 | სოფელი გეგუთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ბოდოკიების, ღალღას და ზივზივაძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია  ბეტონის საფარით | 753161,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 6 | სოფელი გვიშტიბი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მე-8 ჩიხში გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 68299,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 7 | სოფელი გაღმა ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცხუნკურის ადმ. ერთეულის სოფელ გაღმა ჩუნეშში მეშვიდე ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 291539,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 8 | სოფელი ტყაჩირი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში ჯანელიძეების-სინაურიძეების უბანში და სკოლასთან მისასვლელელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფრით | 254593,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 9 | სოფელი ყუმისთვი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში მესამე და მეთექვსმეტე ქუჩებზე საავტომობილო გზების რეაბილიტაცია | 313926,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 10 | სოფელი წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში გურეშების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 286345,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | სოფელი ჟონეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჟონეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 395855,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 12 | სოფელი ცხუნკური | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში მესამე და მეთექვსმეტე ქუჩებზე საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 212503,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დასრულებული |
| 13 | სოფლები: დერჩი, დღნორისა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩისა და დღნორისაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 736000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, მაღალმთიანი სოფლის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 14 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლებისა და მათი სახურავების შეკეთებისთვის საჭირო გადახურვის მასალების (გოფრირებული მოთუთიებული თუნუქი) შესყიდვა | 142500,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |
| 15 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლების შეკეთებისთვის საჭირო სამშენებლო მასალების (ბლოკები) შესყიდვა | 12350,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |
| 16 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისთვის საჭირო ხის მასალის (კოჭი, ფიცარი) შესყიდვა | 42500,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |
| 17 | ქალაქი წყალტუბო | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის №15, 9 აპრილის ქუჩის №13 და დედაენის ქუჩის მე-2 შესახვევში მდებარე №2 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები | 184623,50 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | ქალაქი წყალტუბო | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის №1, ფალიაშვილის ქუჩის №2, კოლხეთის ქუჩის №17, ასევე გოგებაშვილის ქუჩის №2 და №2ა კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები | 261171,52 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |
| 19 | ქალაქი წყალტუბო, სოფლები: მაღლაკი, ფარცხანაყანევი, მუხიანი, მესხეთი, პატრიკეთი, ოფშკვითი, საყულია, რიონი | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, ტაბიძის ქუჩის №7, შანიძის ქუჩის №4ა, დედა-ენის ქუჩის №7, დედა-ენის ქუჩის 1-ელ ჩიხში №2 და №4, ჭავჭავაძის ქუჩის №8ა, ზესიკის ქუჩის №11, თამარ მეფის ქუჩის №1 და №3 კორპუსების, სოფელ მაღლაკში მე-2 ქუჩაზე მდებარე №15 და სვანების დასახლებაში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) მდებარე ბინების, სოფელ ფარცხანაყანევში (კოპიტნარის დასახლება) №1, №3, №10 და №12 კორპუსების, სოფელ მუხიანი (მეფრინველეობის დასახლება) №1, №2 და №3 ბინების, აგრეთვე სოფლებში მესხეთის №9, პატრიკეთის №12, ოფშკვითის №14, ახალი საყულიის №16, რიონის №19 საბავშვო ბაღებისა და სოფელ ოფშკვითის სოფლის კლუბის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები | 437602,93 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |
| 20 | ქალაქი წყალტუბო | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის №7 და №9, თამარ მეფის ქუჩის №9, №11 და №18 კორპუსების, ასევე თამარ მეფის ქუჩის №19 კორპუსის II სადარბაზოს სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები | 313560,93 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | ქალაქი წყალტუბო | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩის №1, №5, №7, №9, №13 და №15, ჭავჭავაძის ქუჩის №9 და დედა-ენის №5 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები | 199225,53 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |
| 22 | ქალაქი წყალტუბო | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, თაყაიშვილის №5, დედა-ენის ქუჩის №20, 9 აპრილის ქუჩის 1-ელ ჩიხში მდებარე №1 კორპუსებისა და №4 საბავშვო ბაღის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები | 198306,85 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |
| 23 | ქალაქი წყალტუბო, სოფელი გეგუთი | 2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩის №1, დედა-ენის ქუჩის №11 და სოფელ გეგუთში (ვარცისჰესის დასახლებაში) მდებარე №3 და №4 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები | 92602,32 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია | 2023 წ. | დასრულებული |
| 24 | სოფელი გეგუთი | კულტურის სახლის რეაბილიტაცია | 5000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 25 | სოფელი გეგუთი | მემორიალის რეაბილიტაცია | 15000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 26 | სოფელი გვიშტიბი | მინი სტადიონის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 27 | სოფელი გუბისწყალი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა | 16000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | სოფელი თერნალი | ახალი სასაფლაოს ღობის მოწყობა | 16000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 29 | სოფელი პირველი წყალტუბო | სანიაღვრე არხების მოწყობა | 12000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 30 | სოფელი გუმბრა | სოფელ გუმბრაში სასაფლაოს შემოღობვისათვის და არსებული საპირფარეშოს რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 31 | სოფელი ბანოჯა | მე-13 ქუჩაზე გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 15000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 32 | სოფელი ბანოჯა | სოფლის ცენტრში არსებული მემორიალის რეაბილიტაცია | 5000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 33 | სოფელი ხომული | ბენიძეების უბანში გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 34 | სოფელი დღნორისა | სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით | 12000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 35 | სოფელი ლეხიდრის თავი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 36 | სოფელი საჩხეური | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 37 | სოფელი ჭაშლეთი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 38 | სოფელი მაღლაკი | კულტურის სახლის რეაბილიტაცია | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 39 | სოფელი მიწაწითელი | წმინდა გიორგის სახელობის სალოცავის შემოღობვა | 12000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 40 | სოფელი მექვენა | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 41 | სოფელი ბენთქოულა | სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 42 | სოფელი დერჩი | სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 43 | სოფელი ვანისჭალა | სასმელის წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის საშირო 500ლ ტევადობის წყლის რეზერვუარის, 50 მმ დიამეტრისა და 500 მ სიგრძის წყლის მილების, მილების გადასაბმელების, 300 მმ დიამეტრისა და 60 მ სიგრძის გოფრირებული პლასტმასის მილის და 7 მ სიგრძის ალუმინის 3 სექციანი გასაშლელი კიბის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 44 | სოფელი ზედა ონჭეიში | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 45 | სოფელი ქვედა ონჭეიში | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 46 | სოფელი მუხიანი | მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა | 13000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 47 | სოფელი მუხიანი | ყუბანეიშვილების უბანში გარე განათების მოწყობა | 7000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის | 2023 წ. | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მხარდაჭერის პროგრამა | | |
| 48 | სოფელი უკანეთი | გვანცელაძეების უბანში გარე განათების მოწყობა | 12000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 49 | სოფელი ქვედა მესხეთი | არსებული სკვერის კეთილმოწყობა | 16000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 50 | სოფელი ქვედა მესხეთი | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის შენობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა | 4000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 51 | სოფელი ოფურჩხეთი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 16000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 52 | სოფელი გუმათი | გარე განათების მოწყობა | 16000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 53 | სოფელი ნამოხვანი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 5000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 54 | სოფელი ნამოხვანი | გარე განათების მოწყობა | 5000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 55 | სოფელი ჟონეთი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 12000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 56 | სოფელი ჯიმასტარო | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 12000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 57 | სოფელი ოფშკვითი | გარე განათების მოწყობა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 58 | სოფელი პატრიკეთი | საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 59 | სოფელი ტყაჩირი | ეკლესიის შემოღობვა და მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 60 | სოფელი რიონი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 61 | სოფელი ზარათი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 12000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 62 | სოფელი მეჩხერი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 63 | სოფელი ნოღა | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 64 | სოფელი სორმონი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 12000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 65 | სოფელი ჭოლევი | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 66 | სოფელი საყულია | სოფლის ცენტრში ფანჩატურის მოწყობა | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 67 | სოფელი საყულია | სვანების დასახლებაში არსებული ამბულატორიის რეაბილიტაცია | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 68 | სოფელი ფარცხანაყანევი | ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზოს კეთილმოწყობა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 69 | სოფელი ქვიტირი | გარე განათების ქსელის მოწყობა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 70 | სოფელი ზედა მესხეთი | ყოფილი საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონების მოწყობა | 20000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 71 | სოფელი ცხუნკური | ფანჩატურის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა | 9000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 72 | სოფელი ცხუნკური | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 7000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 73 | სოფელი ყუმისთავი | სასაფლაოს შესაღობად საჭირო მავთულბადის და სხვა საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა | 7000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 74 | სოფელი ყუმისთავი | ფანჩატურის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა | 9000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 75 | სოფელი ზედა (გაღმა) ჩუნეში | სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის საჭირო პლასტმასის მილებისა და სხვა საჭირო მასალების შეძენა | 3000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 76 | სოფელი ზედა (გაღმა) ჩუნეში | სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა | 7000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 77 | სოფელი წყალტუბო | ფანჩატურის მოწყობა გურშების უბანში | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 78 | სოფელი წყალტუბო | ადმინისტრაციული ერთეულის შენობასთან არსებული სტადიონის რეაბილიტაცია | 10000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 79 | სოფელი ქვილიშორი | მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის | 16000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | მიმდინარე |
| 80 | სოფელი ჩუნეში | მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის | 16000,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წ. | დასრულებული |
| 81 | სოფელი ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეატრისა და საპირფარეშოს რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები | 223670,67 | გრანტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 82 | სოფლები: ფარცხანაყანევი, მუხიანი | ფარცხანაყანევისა და მუხიანის მაგისტრალურ მილსადენებზე მიერთებული აბონენტების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა | 6996632,88 | გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია | 2023 წ. | მიმდინარე |
| 83 | სოფელი ბანოჯა | სოფელი ბანოჯის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა და ქუთაისის ერთი ქუჩა | 6788478,00 | გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია | 2023 წ. | მიმდინარე |
| 84 | სოფელი ქვიტირი | სოფელ ქვიტირის რეზერვუარის, დამწნეხი კოლექტორის და სამტრედიის წყალარინების სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის პროექტირება - მშენებლობის" სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. | 1920000,00 | გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია | 2023 წ. | მიმდინარე |
| 85 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოს წყალარინების სისტემის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები | 24333333,00 | გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია | 2023 წ. | მიმდინარე |
| 86 | სოფლები: მაღლაკი, ფარცხანაყანევი, ზედა მესხეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამი სოფლის (სოფელი მაღლაკის, ფარცხანაყანევის და ზედა მესხეთის) საუბნო გზების რეაბილიტაცია | 15900000,00 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 2023 წ. | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 87 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, აფხაზეთის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა | 3000000,00 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 88 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში დედა-ენის ქუჩის №20-ში მდებარე ბინის მე-2 სადარბაზოს სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები | 9865,98 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 89 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, №24-ე საბავშვო ბაღის ეზოსა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები | 144477,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 90 | ქალაქი წყალტუბო | 36 ცალი დეკორატიული სანაგვე ურნის შესყიდვა თანმედვი მიწოდების მომსახურებით | 18000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 91 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში 2 (ორი) ერთეული ენერგო ეფექტური სკამის შესყიდვა თანმდევი მონტაჟის მომსახურებით | 30000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 92 | ქალაქი წყალტუბო | 45 (ორმოცდახუთი) ცალი ხის ძელსკამის (წარწერით "წყალტუბო") შესყიდვა თანმდევი მიწოდების მომსახურებით (დანართის შესაბამისად) | 23850,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 93 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები | 99976,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 94 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები | 20000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 95 | სოფელი ქვიტირი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში სპორტული დარბაზის შემოღობვის და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები | 19582,65 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 96 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩაზე №3 კორპუსის სახურავის რეაბილიტაციის, ასევე კოლხეთის ქუჩის მე -2 შესახვევში №31 და ბარათაშვილის ქუჩაზე №3 საცხოვრებელი ბინების სახურავების მოწყობის სამუშაოები | 88000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 97 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის 40 (ორმოცი) ცალი 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა | 65600,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 98 | სოფელი გეგუთი, ვარციხჰესების დასახლება | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ვარციხჰესის დასახლებაში N3 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის სამუშაოები | 27329,57 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 99 | ქალაქი წყალტუბო | ალაქ წყალტუბოში, ცენტრალურის სტადიონის ტერიტორიაზე არსებული შენობის (გასახდელი) სარეაბილიტაციო სამუშაოები | 249999,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 100 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, არსებული შუქნიშნების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა | 4900,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 101 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები | 79923.96 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 102 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩის N11 ბინის სახურავისა და დედა-ენის ქუჩის I ჩიხში N3 ბინის მარჯვენა ფლიგელის სახურავის მოწყობის, ასევე შანიძის ქუჩის N8 ბინის მე-4 სადარბაზოს სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები | 26797,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 103 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის პერიოდში შენახვის სამუშაოები | 350000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 104 | სოფელი თერნალი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში, მე-10 ქუჩის N3 ბინის გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | 14851,80 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 105 | სოფელი ბანოჯა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, სათაფლიის მღვიმესთან მისასვლელ გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები | 62216,15 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 106 | სოფელი მაღლაკი, იმერეთის საყრდენი პუნქტი | სოფელ მაღლაკში, იმერეთის საყრდენი პუნქტის (ქუჩა N44) N1 და N5 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | 31666,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 107 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოს შემოსასვლელში (გ. ტაბიძის ქუჩის დასაწყისი, უსაფრთხოების კუნძული), 20 მეტრიანი გალვანიზირებული სადროშე ბოძის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა დროშასთან ერთად | 19900,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 108 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა N4 ბინის მე-3 სადარბაზოს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | 9333,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 109 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციოდ, წყლის მილებისა და მექანიკური ქუროების შესყიდვა (დანართის N1-ის შესაბამისად) თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით | 69283,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დასრულებული |
| 110 | სოფლები: მუხიანი, პატრიკეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში და სოფელ პატრიკეთში სოციალურად დაუცველი ორი ოჯახისათვის კერძო ტიპიური საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა | 95960,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 111 | სოფელი ოფურჩხეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხერთში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობის (საპირფარეშო) სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | 4869,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 112 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში N4 საბავშვო ბაღის და ინკლუზიური ცენტრის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები | 153313,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 113 | სოფელი მაღლაკი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში (ჭელიძეების უბანში) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებისა და სოფელ ცხუნკურში არსებული სასმელი წყლის კაპტაჟების და ქსელის რეაბილიტაცია მოწყობის სამუშაოები | 175041,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 114 | სოფლები: თერნალი, ბანოჯა, გუმათი, ტყაჩირი, წყალტუბო, ზედა მესხეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი თერნალი მე-19 და მე-20 ქუჩებზე, სოფელი ბანოჯაში, სოფელ გუმათში, სოფელ ტყაჩირში სინაურიძეების უბანში და სოფელ წყალტუბო 22-ე ქუჩაზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, აგრეთვე სოფელი წყალტუბოში მე-6 და ზედა მესხეთში მე-18 ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ცხელი ასფალტო-ბეტონის საფარით | 892156,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 115 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები | 136223,98 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 116 | სოფელი ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშის გადასახვევიდან ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის საჯარო სკოლამდე გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები | 10692,55 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | მიმდინარე |
| 117 | სოფელი ყუმისთავი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში არსებულ სასმელი წყლის ქსელზე რეზერვუარის მოწყობის და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების, ასევე სოფელ ყუმისთავში (სვანიძეების უბანში) წყალშემკრები კაპტაჟის, წყალშემკრები ავზისა და წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები | 253890,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 118 | ქალაქი წყალტუბო, სოფლები: გუმათი, ქვედა მესხეთი, ბროწეულას დასახლება | ქალაქ წყალტუბოში, კეცხოველის ქუჩაზე სკვერისა და ღია ამფითეატრის მოწყობის, გოგებაშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათში და სოფელ ქვედა მესხეთში ბროწეულას დასახლებაში ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები | 276892,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 119 | ქალაქი წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ვარციხჰესების დასახლება, კოპიტნარის დასახლება | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ვარციხეჰესის დასახლება N2, კოპიტნარის დასახლების N7, ქალაქ წყალტუბოში ბესიკის ქუჩა N9 და N4, ასევე ჭავჭავაძის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. | 115834,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 120 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში N3 ბაგა ბაღის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები | 488886,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 121 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, გოგებაშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთაზე, სარაჯიშვილისა და კოსტავას ქუჩების კვეთაზე და დედა-ენის მე-4 შესახვევში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები | 208249,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 122 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, ნინოშვილის და კეცხოველის ქუჩებზე არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები | 230975,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 123 | სოფელი წყალტუბო | სოფელ წყალტუბოში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა | 160000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 124 | სოფელი ხომული | სოფელ ხომულში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა | 160000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 125 | ქალაქი წყალტუბო | ქ. წყალტუბოში, დედაენის, თბილისის და თამარ მეფის ქუჩებზე სკვერების მოწყობა. | 120000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 126 | სოფელი ქვილიშორი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ვილიშორი) არსებული სასმელი წყლის ქსელის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. | 970000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 127 | სოფელი ქვილიშორი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ზედა ქვილიშორი) არსებული წყლის ქსელის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები | 6600000,00 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 128 | ქალაქი წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკში არსებული საპირფარეშოების, ასევე ტურიზმის საინფორმაციო შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 71078,50 | ადგილობრივი ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 129 | სოფელი რიონი | სოფ.რიონში მამრიკიშვილების, სულაქველიძეების უბნებში გზების რეაბილიტეცია ბეტონის საფარით. | 478155,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 130 | სოფელი მაღლაკი | სოფ.მაღლაკში მე-12,13,16,20-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 1865067,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 131 | სოფლები: მუხიანი, ოფშკვითი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანი-ოფშკვითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 1470000,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 132 | სოფელი ფარცხანაყანევი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანებში №49,50,53,55,59-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 616280,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 133 | სოფელი ჯინასტარო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმასტაროში სასმელი წყლის მაგისტრალისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები | 1018076,36 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 134 | სოფელი თერნალი | სოფ.თერნალში მე-15,18,19, ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 233308,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 135 | სოფელი პატრიკეთი | სოფ.პატრიკეთში ბაზმანების, ლელაძეების უბანში და ეკლესიასთან მისასვლელი გზების რებილიტაცია ბეტონის საფარით. | 518876,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 136 | სოფელი ქვიტირი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში პირველი ქუჩის მე-7,10 და 11- ე ჩიხებში გზების რეაბილიტეცია ბეტონის საფარით. | 570000,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 137 | სოფელი მუხიანი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ  მუხიანში ქვაჩაკიძეებისა და მეძმარიაშვილების უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 593211,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 138 | სოფელი უკანეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ უკანეთში გვანცელაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 462021,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 139 | სოფელი გეგუთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში კუხიანიძეების უბანში, ასევე ფიროსმანისა და აღმაშენებლის ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 834915,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 140 | სოფლები: ცხუნკური, ბესიაური | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურისა და ბესიაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 396487,00 | რეგიონული განვითარების ფონდი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| 141 | სოფელი ლეხიდრის თავი | სოფელ ლეხიდრისთავში (ლეხიდრისთავი-ლეჟერეთის დამაკავშირებელი) გზის რეაბილიტაცია | 1999863,00 | სახელმწიფო ბიუჯეტი | 2023 წ. | დაგეგმილი |
| | | **სულ 2023 წელს:** | **80986413,31** | | | |